პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 127 (3611)

30 ივნისი, პარასკევი

1968 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ!

ამ სურათზე თქვენ სწორედ ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს, ლენინგრადელ სტუდენტ ნატალია კუჩინსკაიას ხედავთ დვირზე ვარჯიშის დროს.

„ნახტომი", — ასე უწოდა თავის ფოტოსურათს ჩვენმა ლენინგრადელმა კორესპონდენტმა ვ. გალაკტიონოვმა.



სენსაციის ავტორი — პ. მეტრეველი

ლონდონი, 28 ივნისი. უიმბლდონის ტურნირის პირველი სამი დღე უიღბლო გამოდგა: წამდაუწუმ წვიმდა და ამიტომ გათვალისწინებული შეხვედრების ერთ მეოთხედზე ნაკლები გაიმართა.

საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერმა ა. მეტრეველმა II და III წრეში ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. მან ჯერ პ. ბიოსტი (საფრანგეთი) დამარცხა (6:1, 6:1, 6:1), ხოლო შემდეგ — სახელგანთქმული ამერიკელი პროფესიონალი პ. გონსალესი (6:4, 4:6, 6:3, 7:5). ამ სენსაციის ავტორი თბილისელი სპორტსმენი მერვედფინალში გავიდა.

გონსალესთან მოგება უთუოდ დიდ წარმატებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რადგან ამერიკელი მსოფლიოს პროფესიული ჩოგბურთის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელია. ამას ისიც ამტკიცებს, რომ გონსალესი უიმბლდონის ტურნირის გათამაშების ბადეში იმ 16 აღიარებულ ჩოგბურთელს შორის მოაქციეს, რომლებიც მხოლოდ მესამე წრიდან ებმებიან ბრძოლაში.

აი, ის 16 ჩოგბურთელიც: რ. ლეივერი, კ. როზუელი (ორივე — ავსტრალია), ა. ხიმენო (ესპანეთი), ი. ნიუკომბი, რ. ემერსონი (ორივე — ავსტრალია), მ. სანტანა (ესპანეთი), ლ. ჰოადი (ავსტრალია), პ. გონსალესი, დ. რალსტონი, ფ. ბუჰგოლცი, ფ. სტოლე (ოთხივე — ავსტრალია), ტ. ოკერი (ჰოლანდია), ა. ეში (აშშ), კ. დრისდეილი (სამხრეთ აფრიკა), ტ. როჩი (ავსტრალია), ნ. პილიჩი (იუგოსლავია).

მეტრეველს მეორე წრეში გამარჯვების შემდეგ სწორედ დასვენებულ გონსალესთან მოუწია შეხვედრა. საერთოდ, ყველა „მთავარი" 16 ჩოგბურთელი III წრემდე თავისუფალი იყო და ხვდებოდა II წრეში გამარჯვებულებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელი პროფესიონალის დ. რალსტონისა და მისი თანამემამულე, მოყვარული ჩოგბურთელის კ. რიჩის შეხვედრამ. ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. რალსტონი ორჯერ იდგა „უფსკრულის" პირას, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა მარცხისგან თავის დაღწევა — 6:3, 3:6, 7:9, 6:3, 13:11. უფრო მეტხანს (3 საათსა და 20 წუთს) გაგრძელდა ამერიკელი ფიტაგიბონისა და ინგლისელი კოქსის შეხვედრა. მძიმე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა კოქსმა — 4:6, 6:3, 7:9, 9:7, 12:10.

მოსკოველი ვ. კოროტკოვი დამარცხდა პროფესიონალთან ტ. ოკერთან — 10:8, 2:6, 1:6, 2:6.

ზ. საკანდელიძის ასპროცენტიანი...

მოსკოვი, 28 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები ერთ კვირაში სამჯერ რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, იშვიათად ყოფილა, მაგრამ ამჯერად სწორედ ასე მოხდა. ალბათ მიხვდით, რომ ლაპარაკია კალათბურთელთა უძლიერესი გუნდების დღეს აქ დამთავრებულ ოლიმპიადისწინა ტურნირზე.

დიახ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების გადამწყვეტი მატჩი კვლავ მაპინძელთა უპირატესობით წარიმართა. რომ იტყვიან, „აიწყვიტა ამ კაცმაო", სწორედ ასე მოუვიდა საბჭოთა ნაკრების კაპიტანს გ. ვოლნოვს. ამ შესანიშნავი სპორტსმენის თითქმის ყოველი გარდვევა შედეგიანი გახლდათ (ვოლნოვმა 26 ქულა მოუტანა გუნდს), ხოლო უსწრაფესმა ზ. საკანდელიძემ ხომ ყველა გააკვირვა სნაიპერული ტყორცნებით! მან რვაჯერ დაუმიზნა ამერიკელთა კალათა და რვაჯერვე ბურთი მიზანს მოხვდა.

მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 91:80 (48:43).

III ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელმაც დღეს მწვავე ბრძოლაში დაამარცხა იუგოსლავიის ეროვნული გუნდი — 71:70 (30:32).

— მაშ ასე, ოლიმპიადისწინა რეპეტიცია დავამთავრეთ, ნახვამდის მეხიკომდე! — უთხრეს გამომშვიდობებისას ტურნირის მონაწილეებმა ერთმანეთს.

აი, რა განაცხადეს შეჯიბრების შემდეგ მოასპარეზე გუნდების მწვრთნელებმა:

ა. გოგელსკი (სსრ კავშირი): რა თქმა უნდა, სასიხარულოა ჩვენი გამარჯვება მოსკოვში. ამ ტურნირმა საშუალება მოგვცა გამოგვეცადნა ხარვეზები ჩვენი გუნდის თამაშში, განსაკუთრებით, დაცვაში. ჩვენი ბიჭებისთვის ძალიან სასარგებლო იყო მატჩები ამერიკელებთან, რომელთაც, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ არ დაუდგენიათ თავიანთი ნაკრების საბოლოო შემადგენლობა.

ჰ. ჰანტერსი (აშშ): საბჭოთა კალათბურთელები მომეწონა, ბ. პოლეგოდა, გ. ვოლნოვი, ი. ლიპსო და ზ. საკანდელიძე კი პროფესიული კლუბების მენჯერებისთვის პირდაპირ მისწრება იქნებოდა, ისიც უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა გუნდის თამაში ხარვეზებს როდის მოკლებული და ამას იმით ვხსნი, რომ მან ეს-ეს არის დაიწყო ოლიმპიური შეჯიბრებისთვის მზადება. შესაძლოა, მინსკისა და მოსკოვის ტურნირების მონაწილენი მეხიკოში „ნაცნობ უცნობებად" მოგვევლინონ.

რ. ჟროვიცა (იუგოსლავია): ჩვენ აქ ჩამოვიყვანეთ ახალგაზრდა გუნდი, რომელიც ოლიმპიადაში იასპარეზებს. როგორც ხახეთ, ვეტერანები გვაკლდნენ. გულახდილად რომ გითხრათ, მე შემადგენლობის გაახალგაზრდავების მომხრე ვარ, ვინაიდან ადრე თუ გვიან სწორედ ამან უნდა გაამართლოს. განვლილი ტურნირი საუკეთესო სკოლა იყო ჩვენი ახალგაზრდობისთვის. ეფიქრობ, რომ ოლიმპიური ოქროს მთავარი პრეტენდენტებისთვის — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებისთვის ეს შეხვედრები ძიებისა და ექსპერიმენტების ხანაა.

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲔᲯᲘ

● ᲙᲔᲚᲜᲘᲜᲒᲘ, 28 ივნისი. ადგილობრივ ოლიმპიურ სტადიონზე მოსული მაყურებლების (ისინი კი ბლომად იყვნენ — 14 ათასი) ყურადღების ცენტრში მოექცა შეჯიბრებები შუბის ტყორცნასა და სამხტომში, რომლებშიც გამოდიოდნენ მსოფლიოს რეკორდსმენები — ლატვიელი ი. ლუსისი და პოლონელი ი. შმიდტი. ორივე მძლეოსანმა გაამართლა მოლოდინი: ლუსისმა 88 მეტრზე ტყორცნა შუბი და გაიმარჯვა, ხოლო შმიდტმა 16,55 მეტრზე ნახტომით აჯობა ყველას. სამხტომში II ადგილი დაიკავა ფინელმა ჰ. პოუსიმ (16,26), III და IV ადგილები კი საბჭოთა სპორტსმენებმა ნ. დუდკინმა (16,21) და ი. ლიიგანდმა (16,05). 10.000 მეტრზე რბენის სტარტზე მსოფლიოს ორი რეკორდსმენი გამოვიდა. ერთმა მათგანმა — ავსტრალიელმა რ. კლარკმა მსოფლიოში წლეულს საუკეთესო შედეგით (28.06,8) იმარჯვა, მეორე კი — ბელგიელი გ. რულანტი — 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი — მხოლოდ მეოთხე იყო (28.46,8). ფინიშთან მეორე იყო კ. სვაკი, რომელმაც იაპონიის ახალი რეკორდი დაამყარა — 28.35,2. III ადგილიც იაპონელს ხვდა: ს. სასაკის დროა 28.40,0. V ადგილზე გასულმა ა. ნურმეკოვმა ესტონეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 28.55,6. 110 მეტრზე თარჯრბენში I და II ადგილები იაპონელებმა დაიკავეს: ი. ხამადამ (14,5) და ა. ტანაკამ (14,7). III ადგილზეა ესტონელი კ. ეურკატამი — 14,9. სიმაღლეზე ხტომაში პირველი სამი ადგილი ერთსაირი საკმაოდ მოკრძალებული შედეგით (2 მ) დაიკავეს იაპონელებმა. ცდების მიხედვით გაიმარჯვა ა. ალარატუმ. ბირთვის კვრაში ტოლი არ ჰყავდა პოლონელ ვ. კომარს — 18,97 მ. შეჯიბრება ჩატარდა მოწმენდილ, მაგრამ გრილ და ქარიან ამინდში.

● ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 28 ივნისი. იუგოსლავიაში ხელბურთელ ქალთა მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირი ფაქტიურად მსოფლიოს მეცირე პირველობაა. საბჭოთა სპორტსმენებმა წინასწარი თამაშები ქალაქ ნეგატინში გამართეს. აქ მათ დაამარცხეს რუმინეთის (9:7) ხელბურთელები, მსოფლიოს ჩემპიონები — უნგრელებმ (17:14), შემდეგ კი იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრები (12:7). მეორე ჭიჭკუფში (სკოლე) I ადგილი დაიკავეს იუგოსლავიელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. დასკვნითი ასპარეზობა ბელგრადში გაიმართება.

„მრავალი თვისების რაინდები“

თანამედროვე ხუთჭიდით გატაცებულ სპორტსმენებს „მრავალი თვისების რაინდებს“ უწოდებენ. მათი ორთაბრძოლები, სულ ერთია რა დონეზე, მუდამ უდიდეს ინტერესს იწვევს. მით უმეტეს ახლა, მოახლოებული ოლიმპიური თამაშების წინ.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ო. ჩუვილინს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

● თუ შეიძლება, დაგვისახელეთ მეხიკოში გამგზავრების ძირითადი კანდიდატები და გააცანით ისინი ჩვენს მკითხველებს.

— წინ კიდევ საკმაოდ დიდი დროა და ლაპარაკი ძირითად თუ არაძირითად კანდიდატებზე ჯერჯეროობით ნაადრევია. მაინც დაგისახელებთ რამდენიმე ხუთჭიდელს, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე მომზადებულად გამოიყურებიან.

უპირველეს ყოვლისა, ესაა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის წარმომადგენელი, 28 წლის ს. შაპარნისი. ბოლო წლებში იგი მართლაც საერთაშორისო კლასის ათლეტი გახდა და ი. ნოვიკოვის წასვლის შემდეგ ჩვენი გუნდის უდავო ლიდერად მოგვევლინა.

შაპარნისს აქვს ერთი თვისება, რომლითაც იგი ხელსაყრელად განსხვავდება თანაგუნდელებისა და ბევრი სხვა მეტოქისგან — მას საუცხოო ფიზიკური მონაცემები აქვს, სახარბიელო გამძლეობა გააჩნია (შემთხვევით როდია, რომ შაპარნისი მსოფლიოს საუკეთესო მორბენალია ხუთჭიდელთა შორის) და მძლეოსნურ კროსში ძალიან მაღალი შედეგების ჩვენება შეუძლია. არის კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს: მექსიკის მაღალმთიანეთის პირობები მას სრულიად არ აშინებს. იგი ამბობს: „ოღონდ სტაბილურ შედეგებს მივაღწიო დედამიწაზე, ნებისმიერ სიმაღლეზე მათი გადატანა იოლი საქმეა“.

რასაკვირველია, როგორც ყოველ სპორტსმენს, შაპარნისსაც აქვს თავისი სისუსტეები. ეს ჩვენც ვიცით და მეტოქეებმაც. შარშან მას სტაბილურობა არ ჰქონდა. ფარიკაობასა და სროლაში. მაგრამ, ცხადია, დროს უქმად არ აცდენდა. ახლა ამ ხარვეზებს თითქმის მოლიანად მოვეო ბოლო.

კიევის დინამოელი, 30 წლის ბ. ონიშჩენკო საკმაოდ ძლიერი... ოთხჭიდელია. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში (შვეიცია) საცხენოსნო კროსში მან ნოლი მიიღო, რამაც გარკვეული ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა. მაგრამ ახლანდელი ზაფხული გვიჩვენებს, რომ იგი თანდათანობით თავისუფლდება ამ ტრავმისგან. ამას მისი წარმატებული გამოსვლები მოწმობენ. წლეულს არც ერთ შეჯიბრებაში, მათ შორის, საერთაშორისოშიც, იგი III ადგილზე დაბლა არ ჩასულა. საიდუმლოება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ონიშჩენკოზე, ისევე, როგორც შაპარნისზე, დიდ იმედები გამყარებთ.

მტკიცე ნებისყოფის მამაცი მებრძოლია მოსკოვის არმიელი, 25 წლის პ. ლედნიოვი. შარშან იგი სერიოზულად დაშავდა (ლავიწის მოტეხილობა), მაგრამ მალე აღიდგინა ფორმა და წინაოლიმპიურ კვირეულშიც კი იასპარეზა: იგი უაღრესად სერიოზულად ეკიდება წვრთნას. მას ჰქონდა სუსტი ადგილი (ცხენოსნობა), მაგრამ ლედნიოვმა ეს ნაკლი გამოასწორა და უკვე წლეულს არაერთხელ დაამტკიცა მზარდი სიძლიერე ამ სახეობაში. ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში (გდრ-სა და ვრეგანში) იგი ყველას ჯობდა ცხენზე. ლედნიოვი გამძლეა, საუკეთესოდ დარბის, ერთობ მაღალი საერთო ფიზიკური მომზადება აქვს. ერთი სიტყვით, ნამდვილი ხუთჭიდელია.

დანარჩენი კანდიდატებიდან შემიძლია დავასახელო ჩვენში და უცხოეთშიც კარგად ცნობილი ხუთჭიდელები— 30 წლის ე. სდობნიკოვი (1962 წლის მსოფლიო ჩემპიონი) და ვ. მინეევი, აგრეთვე, ნაკრებში ახლახან შეყვანილი მოსკოვის სპარტაკელი, 28 წლის ვ. ნაზაროვი. ყველა ისინი, ჩემი აზრით, ღირსნი არიან ოლიმპიელის წოდებისა.

● როგორ ჩატარდება ოლიმპიადისთვის მზადება ბოლო ეტაპზე?

— ოლიმპიური ნაკრების თვითეული კანდიდატი საკუთარი ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებს მუშაობას, სრულყოფს ოსტატობას. განსაკუთრებით იმ სახეობებს მიაქცევს ყურადღებას, სადაც სისუსტეები აქვს.

ინდივიდუალურ და გუნდურ წვრთნასთან ერთად ჩვენ უფრო ხშირად გამოვალთ შეჯიბრებებში. ესეც ხომ მომზადების საუკეთესო ფორმაა, რომელიც სპორტსმენებს არა მარტო მაღალი ტექნიკის, არამედ მაღალი საბრძოლო თვისებების, დაძაბულ შეჯიბრებებში მუშაობის უნარის შეძენაში დაეხმარება.

დაგისახელებთ ყველა ძირითად ეტაპს. ივნისის ბოლოსთვის და ივლისის დამდეგისთვის მოსკოვში დანიშნულია დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ძველი მეგობრები — უნგრეთის, გდრ-ის, ფინეთის, შვეიცის სპორტსმენები, საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იქნება მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებით (უკრაინა, რსფსრ, ესტონეთი, ლატვია, ყაზახეთი, სომხეთი), მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებით. ეს ტურნირი საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ სპორტსმენთა დიდი ჯგუფის მზაყოფნა და იქნებ, ახალი სახელებიც გავიცნოთ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრების პირობები (საცხენოსნო და მძლეოსნური კროსების სირთულე, გამოსვლების რეგლამენტი, დღის წესრიგი, სამეზნეების ხასიათი და ა. შ.) მექსიკურთან მაქსიმალურად იქნება დაახლოებული. ივლისში კი ნაკრების ყველა კანდიდატი ისპარეზებს საერთაშორისო შეჯიბრებაში (გფრ) და შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატში, სადაც უნგრეთის ნაკრებიცაა მოპატიჟებული.

1-6 აგვისტოს მოსკოვში გათამაშდება ჩვენი ქვეყნის პირველობა. უკვე 10 აგვისტოს კი სსრ კავშირის ნაკრები სტარტს აიღებს დიდ საერთაშორისო ტურნირში შვეიცარია. დაბოლოს, საკონტროლო შეჯიბრება წახკაძირში, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

● რას იტყვით მექსიკის ოლიმპიური ტურნირის ფავორიტებზე — საბჭოთა ხუთჭიდელების მეტოქეებზე?

— პირად ჩათვლაში, უდავოდ № 1 ფავორიტად რჩება სახელგანთქმული უნგრელი ოსტატი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ა. ბალცო. მეხიკოში იგი 30 წლისა იქნება. ჯერჯერობით მას (ისევე, როგორც ჩვენს ი. ნოვიკოვს) ოლიმპიურ თამაშებში საოცრად არ წყალობს ბედი. თავად განსაჯეთ, ბალცომ ოთხჯერ მოიპოვა „მსოფლიოს ოქრო“, მაგრამ საკუთარი ოლიმპიური ოქროს ბრწყინვალებას ერთხელაც არ მოუჭრია მისთვის თვალი.

მეხიკოში ბალცოს ძალზე გაუჭირდება — იგი ცუდად იტანს სიმაღლეს და ბოლო წინაოლიმპიურ კვირეულში წააგო ხ. შაპარნისთან, რაც ჩვენს ათლეტს დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას აძლევს. ბალცოს მთავარ მეტოქედ კი სწორედ შაპარნისი მიმაჩნია და მისი წარმატების შესაძლებლობისა ძალიან მჯერა. თუმცა უჭკნობი ბალცოს ჩინებული საბრძოლო თვისებები გამუდმებით მხედველობაში უნდა იქონიოთ.

უდავოდ თავისი უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს ფ. ტიორიოკს. იგი მიუწვდომელია ცხენზე, ბრწყინვალედ ფარიკაობს („შეთავსებით“ უნგრეთის ჩემპიონია დაშნაში), მაგრამ სუსტია ცურვაში. მაინც მისგან ბევრია მოსალოდნელი.

იმ ბედნიერთა შორის, რომელთაც პირად დუელში ა. ბალცო დაუმარცხებიათ, ვფიქრობ ინგლისელ ჯ. ფოქსს. იგი, უდავოდ, საპატიო კვარცხლბეკის კანდიდატია. ინგლისელს მეტად სტაბილური შედეგები აქვს და განსაკუთრებით ძლიერია რბენასა (აქ „წმინდა“ მძლეოსნებსაც შეუძლია შეედაოს) და ცურვაში.

24 წლის შვეიცელმა ბ. ფერმმა შარშან თავის სამშობლოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში III ადგილი დიაკავა პირად ჩათვლაში. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იქ ბევრი რამ „ძმობლიურმა კედლებმა“ გადაწყვიტა. მაგრამ მე სხვა აზრის ვარ — ფერმი ძლიერი ხუთჭიდელია და მას მთელი პატივისცემით უნდა მოვეკიდო.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, ბევრი ძლიერი კოლექტივის გამოჩენის, აგრეთვე, მსოფლიოს ყველა კუთხეში ხუთჭიდის კლასის ზრდის მიუხედავად მიმაჩნია, რომ ოქროს საკითხი უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების დავაში გადაწყდება. აი, უკვე სამი წელია ზედიზედ ჩვენი უნგრელი მეგობრები თანმიმდევრობით იკავებენ სპატაკი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს. მათთვის ეს სავხებით ხელსაყრელია, ჩვენთვის კი არა.

ძალიან დიდად ვაფასებ გდრ-ის გუნდს. აი, ალბათ, ვისგან შეიძლება ელოდო სიურპრიზს. უდავოდ, ძლიერ და თავისებურ კოლექტივს გამოიყვანს აშშ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკანასკნელ წინაოლიმპიურ კვირეულში ამ ქვეყნის 10 ხუთჭიდელი გამოდიოდა. ამ ორ გუნდს დავუმატებ შვეიცას — 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორს და თამაშების მასპინძლებს — მექსიკელებს.

ასპარეზოზდნენ სტუმრებიც...

ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ხუთჭიდელებმა წლეულს უკვე ჩაატარეს ეძლიერესთა მატჩი და თბილისის პირველობა, მონაწილეობა მიიღეს ერევნის საერთაშორისო და რიგის საქალაქთაშორისო ტურნირებში. ახლახან კი საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება დამთავრდა თბილისის ბაზებზე. სასპარეზოდ მოწვეული იყვნენ კიევის „დინამოს“ და ბაქოს „ნეფტჩის“ ხუთჭიდელებიც. ასე რომ, პარალელურად სამი ქალაქი სამატჩო შეხვედრაც გაიმართა.

რესპუბლიკური პირველობისადმი ინტერესი რომ არ დაცემულიყო, თბილისმა ხუთი გუნდი ჩაბა ტურნირში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახეობა ამ ბოლო ხანს ერთგვარ კრიზისს განიცდის. ადრე შეჯიბრებებში თბილისელებთან ერთად აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ (ხუთჭიდელთა გუნდები იყო რუსთავში, ფოთში, სამხრეთ ოსეთში, აქარაში), წლეულადელ ჩემპიონატში კი მხოლოდ აფხაზეთმა მოაწყინა გუნდი. აქვე შევნიშნავთ, რომ აფხაზეთის წარმომადგენლები ძალიან სუსტად იყვნენ მომზადებული და თბილისის მე-5 გუნდსაც ვერ გაუწევეს მეტოქეობა. საბოლოოდ, მთელმა გუნდმა მეორეთანრიგოსანი სპორტსმენის შედეგი აჩვენა (!).

თბილისის 5 გუნდი სიძლიერის მიხედვით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ IV ნაკრების ახალგაზრდებმა დაუნდობლად შეავიწროვეს მათზე წინ მდგომი გუნდები და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა გაუმართეს II და III ნაკრებს.

ახალგაზრდა დინამოელმა ნ. ქაჯაიამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. კარგად გამოვიდა დინამოელი ა. მაროტი, რომელმაც ახლაც დაჯაბნა სპარტაკელი ა. კრავჩენკო და 5-ათასიანი ზღუდის გადალახვით ჩემპიონობა გაინაღდა. მაროტის შედეგი — 5132 ქულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მიღწევაცაა. კრავჩენკო II ადგილს დასჯერდა— 4943 ქულა. მესამე იყო დინამოელი ო. აბეკაძე — 4763 ქულა (სამივე — I ნაკრები).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I — 14838 ქულა, 2. თბილისი IV — 13620, 3. თბილისი II — 12157.

საქალაქთაშორისო მატჩში თბილისს I და IV გუნდები ივიეე ქულებით სპრიზო ადგილებზე დარჩნენ. III ადგილი წილად ხვდა კიევის „დინამოს“ — 12470 ქულა.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

პრიზიორთა ტექნიკური შედეგები სახეობების მიხედვით:

ცხენოსნობა. 1. ა. კრავჩენკო — 3.04,0 (1100 ქულა), 2. ი. ჯარაშნელი — 3.14,2 (1100), 3. ო. აბესაძე — 3.20,5 (1075);

ფარიკაობა. 1. ა. მაროტი (24 გამარჯვება) — 1111 ქულა, 2. ი. ლაქტიოხოვი („დინამო“, 23) — 1074, 3-4. ი. ვართანოვი („დინამო“, 22) და გ. კლეიმიონოვი („ნეფტჩი“, 22) — 1037.

სროლა: 1. ა. მაროტი (196 ქულა 200-დან) — 1044, 2-3. ვ. აკურავა („დინამო“, 193) და ა. კრავჩენკო (193) — 978.

ცურვა: 1-2. ნ. ხუციშვილი („სპარტაკი“, 4.02,2) და ი. მამაევი — („ნეფტჩი“, 4.02,2) — 952 ქულა, 3. ე. სიდელნიკოვი („სპარტაკი“, 4.03,2) — 946.

მძლეოსნობა: 1. ა. მაროტი (13,45) — 1090 ქულა, 2. ნ. კუკვე („ნეფტჩი“, 13,55) — 1060, 3. გ. კლეიმიონოვი (14,00) — 1045.





ჩვენს მაბრ რესპუბლიკებში

ლუგანსკის აეროკლუბში 1000-ზე მეტი პარაშუტისტი მეცადინეობს. ამასთან, ყოველი მეხუთე სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ან თანრიგოსანია. აეროკლუბის პარაშუტისტები თითქმის ყველა ხაკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობენ. კლუბის არსებობის მანძილზე მისმა წევრებმა 82 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

• • •

ს ურ ა თ ზ ე: ლუგანსკის ოლქის პარაშუტისტთა ნაკრები გუნდი მორიგი საწვრთნელი მეცადინეობისთვის ემზადება.

ფოტო ე. ეტინგერისა (ახალი ამბების სააგენტო).

კურგანსკის ოლქის კეტოვსკის რაიონში თუმცა ზღვა არ არის, მაგრამ ოლქის დოსაფის წევრებმა — საწყლოსნო სპორტის ენთუზიასტებმა აქ საზღვაო კლუბი ჩამოაყალიბეს. სპორტსმენთა განკარგულებაშია 8 საზღვაო იალქნიანი იახტა.

ახლა კლუბის ორი გუნდი საწვრთნელ ვარჯიშს ამთავრებს ორლოვოს ტბაზე და მალე სვერდლოვსკს გაემგზავრება საზღვაო მრავალჭიდში რსფსრ-ს პირველობის ზონალურ შეჯიბრებაში ხაასპარეზოდ.

• • •

ს ურ ა თ ზ ე: საზღვაო კლუბის წევრები ვარჯიშის დროს.

ფოტო ს. იუდინისა (საკადესი).

სსრ კავშირის თასი

პირველი განაცხადი ბროლზე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 28 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი) 3:0 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე (გოგია), ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ახალიანი, კუტივაძე, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი (ილიადი).

ასკ: ბოიჩენკო, კორნეევი, გეტმანოვი, კრავჩენკო, აფონინი, კაზაჩოკი, პოპოვი, ბორდოვსკიხი, კოპაევი, რომანოვი (ანფიმიადი), კოლინკო (ბუროვი).

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

თბილისის „დინამოს“ ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავს საკავშირო თასის მიმდინარე გათამაშებაში. ჯერ — მეთექვსმეტედფინალში მას შეხვდა როსტოვის არმიელთა გუნდი. ახლა — მერვედფინალში მისი მეტოქეა სვერდლოვსკის „ურალმაში“ (ცნობისთვის: ეს გუნდი „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის პოტენციური ლიდერია), ხოლო შემდეგ თუ, რა თქმა უნდა, გავიმარჯვეთ, შეეხვდებით ცსკა-სა და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის მოგებულს. ეს იქნება მხოლოდ მეოთხედფინალში. თუ ეს უძნელესი გზაც გავლილ იქნა, ნახევარფინალში ახალი პრობლემაა გადასაჭრელი — მოსკოვის „დინამო“ ან ბაქოს „ნეფტჩი“.

და მიუხედავად ასეთი რთული პერსპექტივისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის „დინამოს“ შეუძლია წარმატებით იბრძოლოს საპატიო პრიზის ზლვევანდელ ასპარეზობაში. საამისო საფუძველს გვაძლევს მისი 28 ივნისს ნათამაშევი მატჩი როსტოვის არმიელებთან.

ქების ღირსია მთელი გუნდი. ისე განვლო თამაშის 90-მა წუთმა, რომ როსტოველებს თითქმის არ ჰქონიათ მცირე პერიოდიც კი, ეფიქრათ მატჩის ბედის შემოტრიალებაზე და კონტრამაშის შექმნაზე. ორიოდე მომენტს, როცა ურუშაძე „იოლი შიშით“ გადაურჩა ხიფათს, რასაკვირველია, არ შეეძლო არსებითი კორექტივები შეეტანა შეხვედრის შედეგში. სტუმრები განწირული იყვნენ პირველივე წუთებიდან, როცა მათი კარი თბილისელთა უძლიერესი შტურმის წინაშე აღმოჩნდა და დაცვითი ხაზები განუწყვეტლივ თხოელობდნენ მაშველ ძალას თავდამსხმელთაგან.

ყველა იმ მოშენტის აღწერა, რომლებიც არმიელთა კართან წარმოქმნა პირველი ათიოდე წუთის მანძილზე, შორს წაგვიყვანდა. თბილისელთა შეტევები მიმდინარეობდა არა მარტო მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, არამედ კიდევ უფრო ახლოს, კარიდან 4-5 მეტრის დაშორებით და გოლი, რომელიც გავაშელმა გაიტანა მე-14 წუთზე, მოვლენათა მხოლოდ მოგვიანებული ფიქსირება იყო. მეტრეველმა და კუტივაძემ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დამთავრდა. ბოიჩენკოს მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო გავაშელმა და ზუსტად გაგზავნა იგი კარში — 1:0.

ტაიმი დამთავრდა ისე, რომ მსაჯს თითქმის არ დასჭირვებია თბილისელთა ნახევარზე გადასვლა. იგი იმყოფებოდა იქ, სადაც თამაში მიმდინარეობდა, იქ, სადაც სტუმრების მცველები ყოველივეარი საშუალებით, დაშვებულით თუ აკრძალულით, ებრძოდნენ მოპირდაპირე თავდამსხმელებს.

მეორე ტაიმში, რამდენიმე გამოუყენებელი შეაძლებლობის შემდეგ, დინამოელებმა კიდევ ორჯერ აიღეს არმიელთა კარი. 74-ე წუთზე მეტრეველმა თავისი ინდივიდუალური გარღვევა გოლით დაამთავრა და ცოტა ხნის შემდეგ ილიადის მიერ მოწოდებული ბურთი ასათიანმა თავით გაიტანა სტუმართა კარში.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: პირველი გოლი როსტოველთა კარში. ს. კუტივაძის (წინა პლანზე, მუქ მაისურში) ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ა. ბოიჩენკომ, მაგრამ ბურთს მიუსწრო გ. გავაშელმა (იგი კადრის სილრმეშია) და გახსნა ანგარიში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



მეკარეფინალისტები ანყვეტილნენ

დამთავრდა მეთექვსმეტედფინალური მატჩები. გათამაშებაა მონაწილეთა რაოდენობა განახევრდა: გამოვლინდა მერვედფინალის ყველა 16 მონაწილე.

„ა“ კლასის I ჯგუფის კიდევ ერთ გუნდს მოუხდა გათამაშების დატოვება. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მარცხი განიცადა აშხაბადში ადგილობრივ „სტროიტელთან“ და ისიც დიდი ანგარიშით — 0:3.

ფერგანის „ნეფტიანიკმა“ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა მოსკოვის „ტორპედოს“ და დამარცხდა — 0:2. შინ წაგო კრასნოდარის „კუბანმაც“ მოსკოვის „დინამოსთან“ — 0:3.

დონეცკის „შახტიორმა“ ლენინგრადში გაიმარჯვა ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრაში — 4:1, ხოლო ალმა-ათის „კაირატმა“ ქ. სუმში მოუგო იქაურ „სპარტაკს“ — 3:1. ცკა-მ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 4:1.

მერვედფინალის მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: „სოკოლი“ (სარატოვი) — „პატაკორი“ (ტაშკენტი), „ზარია“ (ლუგანსკი) — „დინამო“ (მინსკი), ასკ (კიევი) — „კუზბასი“ (კემეროვო), „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი), ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი) — „კაირატი“ (ალმა-ათა), „ნეფტჩი“ (ბაქო) — „სტროიტელი“ (აშხაბადი).

ეს მატჩები გაიმართება 22-23 ივლისს კენჭისყრის მიხედვით.

სსრ კავშირის პირველობა

მეოთხე ზონაში

28 ივნისს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

ჰიათურიდან...

ადგილობრივი „მაღაროელი“ და მისი მეტოქე — ყირიმსკის „უროჟაი“ ახლო მეზობლობაში იმყოფებიან გათამაშების ცხრილში და თვითეული მათგანი გამარჯვების შემთხვევაში საგრძნობლად იუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მატჩის ხასიათი: ბრძოლა მწვავე და საინტერესო იყო.

ტონი თავიდანვე მასპინძლებმა მისცეს. მე-14 წუთზე მაისურაძემ საჯარიმოდან ბურთი კარის წინ მიაწოდა და გონგლაძემ ანგარიში გახსნა — 1:0. ტაიმის დასასრულამდე „მაღაროელის“ თავდამსხმელებს პავლიჩოვს, თურქეას, ჩიტაურს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ კარგი თამაშით გამოიჩინა თავი „უროჟაის“ მეკარე კუნჭულიამ.

სახიფათო შეტევები ჩაატარეს სტუმრებმაც (ლისაკი, კუსკოვი, კოლესნიკოვი). იყო შემთხვევა, როცა „მაღაროელის“ კარი ძელმა იხსნა.

მეორე ნახევრის დასაწყისში კრიმაკელთა მცველმა ლესნიკმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და პავლიჩოვმა ზუსტად შეასრულა პენალტი — 2:0.

მატჩის დასასრულამდე „უროჟაიმ“ რამდენიმე ძლიერი შეტევა ჩაატარა და 88-ე წუთზე საფონოვმა შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვა „მაღაროელმა“ — 2:1.

თ. ზეკილაძე.

ცხინვალიდან...

ადგილობრივ სპარტაკელებს ძალზე ძნელი თამაში ჰქონდათ ყისლოვოდსკელ თანაკლუბელებთან. თამაში ერთხანს თანაბარი უპირატესობით მიმდინარეობდა. გოლია გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც სტუმრებს, ისე მასპინძლებსაც. 42-ე წუთზე ცხინვალელებმა სწრაფად შეუტიეს მეტოქეს და ვაჩეიშვილმა წარმატება მოუტანა თავის გუნდს — 1:0.

შესვენების შემდეგ სტუმრები თითქმის განუწყვეტლივ ფლობდნენ ინიციატივას. მათ არაერთი აგრესიული მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. მაგალითად, ერთხელ არუთინოვი პირისპირ გავიდა მეკარე შარაშენიძესთან და ამ უკანასკნელმა შეძლო ეხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან.

ცხინვალელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს ამ ძნელი გამარჯვების შენარჩუნება.

ვ. მელქოევი.

სოხუმიდან...

სოხუმის „დინამოსა“ და ზუგდიდის „ენგურის“ თამაში დაიწყო ამით, რომ სტუმრებმა ძლიერად შეუტიეს მეტოქეს და თითქმის 20 წუთის განმავლობაში არ მოსცილებიან მის კარს. ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები ვერ გამოიყენა ჯერ აბრალავამ, ხოლო შემდეგ კემულარიამ.

მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ საშუალება სოხუმელებს შეეტანათ გარდატეხა თამაშში და აულ მალე, 24-ე წუთზე ვანაჩამ პირველი გოლი გაიტანა „ენგურის“ კარში.

საერთო უპირატესობა სოხუმელებმა შეინარჩუნეს მეორე ტაიმშიც. 64-ე წუთზე უზუნიანმა, ხოლო შემდგომში ეზუბაიამ კიდევ თითოჯერ აიღეს ზუგდიდელთა კარი — 3:0.

სტუმრებმა „მშრალ“ ანგარიშს თავი დააღწიეს მხოლოდ მატჩის დასასრულს. გოლის ავტორი იყო კემულარია.

შ. ჯალაღონია.

„ბ“ ჯგუფი

მესამე ზონაში

მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ხიმიკი“ (ნოვინომისკი) 2:1, „დამკინი“ (ზაქათალა) — „უროჟაი“ (სლავიანსკი) 2:0, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) 2:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 0:0, „ტორპედო“ (არმავირი) — „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) 2:1, „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) 2:1, „ენერგია“ (ვოლგსკი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 0:0.



საქართველოს ჩემპიონატი

მოგვყავს განვლილი ტურის ტექნიკური შედეგები: „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 2:0, „მშენებელი“ (სიღნაღი) — „ისანი“ (თბილისი) 3:2, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არაგვი“ (მცხეთა) 1:0, „ყოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „აერო“ (გალი) 0:1, „სინათლე“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 0:2, „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:3, „მესხეთი“ (ახალციხე) — „სამცხე“ (აწყური) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ნარინჯი“ (ბათუმი რაიონი) 2:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0.

ბახარაძის რაიონის „ლაითურს“ წაგება ჩაეთვალა ჩოხატაურის „ბახმაროსთან“ შეხვედრაში.

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„ზემო ქართლი“ (ხაშური) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:2, „ვაზისუბანი“ (გურჯაანი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 4:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:2, „შრომითი რეზერვები“ (გარდაბანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „ელმავალმშენი“ (თბილისი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1. კასპის „განთიადს“ მოგება ჩაეთვალა მარნეულის „ყოლმეურნესთან“.

II ზონა

„რიწა“ (გუდაუთა) — „სირმე“ (მაიაკოვსკი) 0:0, „მშენებელი“ (ქიათურა) — „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) 2:5, „ყოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „განთიადი“ (აბაშა) 0:0, „შეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ყოლხეთი“ (ხობი) 0:5, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „განახლება“ (ადიგენი) 4:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:0, „ყოლხეთმშენი“ (ფოთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:2.

ფინალური შეხვედრები

დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ფინალური თამაშები.

25 ივნისი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ქიათურა) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — ახალგ. საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:3, „ტორპედო“ (ქუთაისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:0.

27 ივნისი. „მაღაროელი“ (ქიათურა) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:2, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:2. თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს მოგება ჩაეთვალა ქუთაისის „ტორპედოსთან“.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 30 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	19	11	7	1	40—12	29
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	19	9	8	2	27—13	26
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	18	8	8	2	36—18	24
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	18	9	5	4	27—17	23
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	17	7	9	1	25—16	23
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	18	8	7	3	27—22	23
„სულორი“ (ვანი)	19	9	4	6	22—18	22
„აერო“ (გალი)	19	8	6	5	19—19	22
„დურუჯი“ (ყვარელი)	18	6	9	3	24—15	21
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	18	7	7	4	22—20	21
„სინათლე“ (თბილისი)	16	7	5	4	19—12	19
„მშენებელი“ (სიღნაღი)	19	6	6	7	20—26	18
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	19	6	5	8	17—24	17
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	18	4	6	8	17—27	14
„ყოლმეურნე“ (წალენჯიხა)	18	4	6	8	14—27	14
„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)	18	4	5	9	15—19	13
„არაგვი“ (მცხეთა)	17	6	1	10	13—19	13
„მესხეთი“ (ახალციხე)	17	4	5	8	13—21	13
„ისანი“ (თბილისი)	19	4	5	10	17—30	13
„ბარეჯი“ (საგარეჯო)	19	3	5	11	19—31	11
„ქართლი“ (გორის რაიონი)	18	3	5	10	12—25	11
„სამცხე“ (აწყური)	18	1	8	9	15—25	10

ნუ გავანებებთ მაყურებელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შეჯიბრებას ორი მთავარი ამბავი გასდევს მთავარ ხაზად: ორგანიზაციული და სპორტული. ჩვენც სწორედ ამის მიხედვით ვიმსჯელოთ წყალბურთელთა ახლახან დამთავრებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე.

ორგანიზაციული მხარე:

რედაქციაში სპორტის გულშემატკივრებმა დარეკეს: ერთმა, ორმა, სამმა... ყოველი მათგანის ტონი უჩვეულოდ აღელვებული და აღშფოთების გამომხატველი იყო. მათი ლაპარაკის თემა წყალბურთელთა გუნდების რესპუბლიკურ ჩემპიონატს ეხებოდა:

„აფიშების მიხედვით პირველობა 28 ივნისს უნდა დამთავრებულიყო. ასპარეზობის მსვლელობისას შევიტყეთ, რომ იგი ერთი დღით ადრე მთავრდებოდა. დანიშნულ დროზე გამოვცხადდით რესპუბლიკურ საცურაო აუზში და იქ მონაწილე გუნდები კი არა, კაცის ჭაჭანება არ იყო“.

რა გვეთქმოდა. გულშემატკივრები მართალი იყვნენ. დასკვნითი ასპარეზობა „შინაურულად“, შუადღისას გაუმართავთ და გათამაშების ცხრილის ყველა უჯრა შეუვსიათ. მონაწილე გუნდების არავითარი აღლუმი! მარტო გამარჯვებული „ლოკომოტივის“ სპორტსმენები ჩაუმწკრივებიათ, სიგელები გადაუცია და... ეს იყო და ეს.

არ გეგონოთ, რომ ჩემპიონატის გახსნა იყო სანახაობრივად უფრო მიმზიდველი. სამწუხაროდ, არა! შეჯიბრება ჩვეული ცერემონიალით როდი დაიწყო. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ალბათ ასე იფიქრეს: მაყურებლები (უნდა გამოვტყდეთ, მათი რიცხვი ამ დღეს ოცდაათს არ აღემატებოდა) რად უნდა დავქანცოთ გუნდების სააღლუმო ცერემონიალით, სჯობს ასპარეზობა პირდაპირ დავიწყოთო! და დაიწყეს, ასე ვთქვათ, უხმაუროდ („ხმაურში“ ვგულისხმობთ ტრადიციას: სათამაშოდ გაშზადებული გუნდები მარშის ხმაზე რომ გამოდიან სასპარეზოდ).

ახლა ბევრი იგონებს, რომ წინა წლებში წყალბურთელთა ასპარეზობის სანახავად ზღვა ხალხი იყრიდა თავს და შესვეღრებიც უფრო საინტერესო იყო. იგონებს და წუხს დღევანდელი წყალბურთის გამო. მართლაც ასე იყო. რატომ? სპორტის ამ სახეობის წესებში შეტანილმა ცვლილებებმა არა თუ წინ წასწია წყალბურთი ტექნიკური, ტაქტიკური და სანახაობრივი თვალსაზრისით, პირიქით, თამაშები უინტერესო გახადა. ყოველი ბურთისთვის წყალზე და წყალქვეშ ისეთი ალმაგებული ბრძოლაა გაჩაღებული, რომ შემტევი მოთამაშე მეტოქის კარის აღებაზე კი არა, საკუთარი თავის უსაფრთხოებაზე უფრო ფიქრობს. ვთქვათ, რომელიმე მატჩი დამთავრდა ანგარიშით 9:8. არ იფიქრთ, რომ ეს ბურთები თამაშიდან გავიდა მხარეთა საუკეთესო მომბარდირების შორი და სამუალო მანძილებიდან ძლიერი ტყორცნების წყალობით. ნურას უკაცრავად. მეტოქეებმა სათამაშო სიტუაციიდან ერთმანეთის კარის ბადეში თითო ბურთი თუ გაახვიეს. დანარჩენი? რასაკვირველია, 4-მეტრიანი საჯარიმოებიდან იქნა გატანილი. ამჟამად წყალბურთის ჩამორჩენაზე ბევრს ლაპარაკობენ, საბჭოთა და უცხოურ პრესაში წინადადებებით გამოდიან ცნობილი სპეციალისტები, მაგრამ მანამ მათ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია ყურად იღებდეს, წყალბურთი სულ უფრო კარგავს ინტერესს.

მაყურებელთა მიერ წყალბურთის მიმართ „უპატივცემულობის“ საქმეში ხშირად შეჯიბრებათა ორგანიზატორები არიან დამნაშავე. თუ კი წლევანდელი ჩემპიონატის გახსნისას და მომდევნო დღეებში ტრიბუნებზე მაყურებელი კატეგორიულად იჯდა, ვფიქრობ, გაისად უარესი დასწრება იქნება. მიზეზი? შეჯიბრების ცუდი ორგანიზაცია, უფერული რეკლამა...

სპორტული მხარე:

ჩემპიონატში თავი ისახელა თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელმაც ძალაბულ ბრძოლაში დაამარცხა „დინამო“ — 4:3. უნდა ითქვას, რომ დინამოელებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. მაგრამ გადამწყვეტ მატჩში რეინეგზელებმა ითამაშეს უფრო უკეთ, მონდომებულად და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭეს. ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. მაგრამ მათი მისამართით ერთი რამ უნდა ვთქვათ. ამ საზოგადოებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ახალგაზრდა წყალბურთელთა აღზრდისთვის, თორემ უმთავრესად სხვა გუნდებიდან წასული სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდით შორს ვერ წავა, უფრო დიდ გამარჯვებებს ვერ მოიპოვებს.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს — თბილისის „დინამოს“ II საპრიზო ადგილი ხვდა წილად. მესამეა თბილისის „ბურევესტნიკი“, მეოთხე—აფხაზეთის, მეხუთე — აჭარის, და ბოლო — ქუთაისის გუნდი. ჩემპიონატის აუტსაიდერმა ხუთ მატჩში მეტოქეთა კარში მხოლოდ 6 ბურთი გაიტანა, საკუთარში კი თერთმეტჯერ მეტი, 66 მიიღო. ყოველივე ეს წყალბურთისადმი ამ ქალაქის სპორტის მესვეურთა ნაკლები ყურადღებითაა გამოწვეული. რაც შეეხება შავი ზღვისპირა რესპუბლიკების — აფხაზეთისა და აჭარის გუნდების გამოსვლას, მათ თავიანთი ტრადიციული ადგილები დაიკავეს. ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების მხრივ ამ კოლექტივებს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ, რაც, ცხადია, შეუწყარებელი ამბავია.

ჩვენი სათქმელი იმით გვინდა დავამთავროთ, რომ, როცა წყალბურთში (და განა მარტო წყალბურთში) საპასუხისგებლო ღონისძიებებს ვატარებთ, გულშემატკივრებზეც უნდა ვიზრუნოთ. მათ ხომ ყველა სხვა საქმე გადადეს და სარბიელს მიაშურეს საინტერესო შეჯიბრების ნახვის იმედით. და თუ ამ წერილში აღწერილი ფაქტები ერთხელ მაინც გამეორდა, გულშემატკივრები ეჭვის თვალით შეხედავენ სპორტულ ღონისძიებებს და შეჯიბრების მოწმენი მხოლოდ მისი მონაწილენი და ორგანიზატორები იქნებიან.

ზ. ჯაფარიძე.

სოფიაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე ჩასვლა მრავალი ჭაბუკისა და ქალიშვილის ოცნებაა. ამ მიზნის მიღწევას ორიგინალური ხერხით ცდილობენ 17 წლის პრაღელი მოსწავლეები. მათ გადაწყვიტეს მომავალი ფესტივალის დედაქალაქში ჩავიდნენ... გორგოლაჭებიანი ციგურებით.

სამმა ჩეხოსლოვაკიელმა მოსწავლემ შექმნა „გორგოლაჭებიანი ციგურების კლუბი“, რომელსაც მხოლოდ სამი წევრი ჰყავს: ბ. პრუშა, ი. მარკსტი და ი. კალისტა. ახლა ისინი რეგულარულად ვარჯიშობენ, მოგზაურობისთვის ემზადებიან.

სურათზე: „გორგოლაჭებიანი ციგურების კლუბის“ წევრები.

ფოტო ჩდკ—აახ-ისა.

ევროპის სპორტული საქმოსნები და საავტომობილო ჭარხნების მეპატრონეები რეკლამის ეშხით გამუდმებით ცდილობენ აეიოტ-ეი შექმნან სპორტულ შეჯიბრებათა ირგვლივ. სწორედ ამის შედეგია უბედური შემთხვევები რბოლების დროს, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

სურათზე: პროფესიონალთა ავტორბოლებისთვის ტიპიური სცენა: ვისკონსინის შტატში (აშშ) ამას წინათ გამართული 200-კილომეტრიანი რბოლის დროს მანქანები ერთმანეთს დაეჯახა. ჰაერშია რონი დანმანის ავტომობილი (39 წლის მრბოლელი რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა ჰოსპიტალში). ცენტრში — ბეი დარნელის მანქანა. დარნელი მძიმედ დაშავდა. მესამე მრბოლელი — 30 წლის ნორმ ბრაუნი მხოლოდ რამდენიმე დამწვრობით და მოტეხილობით გადარჩა.

დაშავდა ზოგიერთი მაყურებელიც.

ფოტო იუპი—აახ-ისა.



მხიარული ფანქრით





უსიტყვოდ.

ნახ. გ. კაკაბაძისა.

„ნიშანი“.

უცხოური ჟურნალიდან.



კვლავ ყაიმი

მოსკოვი, 29 ივნისი. ჰავანაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — საბჭოთა დიდოსტატებია მ. ტალისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალურ მატჩში გუშინ II პარტია გათამაშდა.

კორჩნოიმ კატალონიური დაცვა აირჩია. ამ დებიუტმა მას წარმატება მოუტანა ს. რეშევსკისთან (აშშ) მატჩში. ტალმა უკვე მე-10 სვლაზე გაცვალა ლაზიერები და მრძოლა ენდშპილში გადაიყვანა. ამაო აღმოჩნდა კორჩნოის ცდა თავი აერიდებინა თამაშის გამარტივებისთვის. 28-ე სვლაზე ლენინგრადელმა თავად შესთავაზა მეტოქეს ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1:1. ხვალ შედგება III პარტია. თეთრებით თამაშობს ტალი.

მშვილდოსნის რეკორდი

ლვოვი, 28 ივნისი. აქ გაიმართა უკრაინისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მშვილდოსნობაში. ლვოველმა ნ. კოზინამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ვარჯიშში მ-1 (4 დისტანციის ჯამი — 70+60+50+30 მ) — 1134 ქულა. ეს 4 ქულით სჯობს რეკორდსმენის თანაქალაქელი ლ. გრიშჩენკოს წლეულს ნაჩვენებ შედეგს.



◆ **ბუდაპეშტი,** 29 ივნისი. უნგრეთის დედაქალაქის ჩემპიონატში მოასპარეზე 20 წლის იუდიტ ტუროცმ თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 1.04,0. ძველი მიღწევა, რომელიც ახლანდელზე 0,4 წამით უარესი იყო, მასვე ეკუთვნოდა.

ჩემპიონთა თასის 10 სნაიპერი

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 13 გათამაშების შემდეგ მისი საუკეთესო სნაიპერთა ათეული ასე გამოიყურება:

1. დი სტეფანო („რეალ-მადრიდი“) — 49 გოლი, 2. ეუსებიო (ლისაბონის „ბენფიკა“) — 36, 3. პუშკაში — 36, 4. ხენტო (ორივე — „რეალ-მადრიდი“) — 28, 5. აუგუსტო (ლისაბონის „ბენფიკა“) — 23, 6. ალტაფინი („მილანი“) — 20, 7. კოსტიჩი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“) — 18, 8. აგუარი 17, 9-10. ტორესი (ორივე — ლისაბონის „ბენფიკა“), რიალი („რეალ-მადრიდი“) — 14-14.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.